

4581-13-3-2-201605130927



N 13-3/4581

13/05/2016

საქართველოს მთავრობას

რეკომენდაცია

საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული გაერთიანების წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დაწყებული საპროტესტო აქციების საპასუხოდ, 2016 წლის 20 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის წარმოება უმაღლესი განათლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში თანასწორობის უფლების დარღვევის შესწავლის მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად აკვირდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ გამართულ საპროტესტო გამოსვლებს. სტუდენტთა ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს უმაღლესი განათლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება და ამ გზით თვითმმართველობის წევრ სტუდენტებთან იმ სტუდენტების უფლებრივი გათანაბრება, რომლებიც არ არიან აღნიშნული გაერთიანების წევრები. თავის განცხადებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ითხოვენ სისტემური ცვლილებების განხორციელებას, რისთვისაც აუცილებელია, რომ აღნიშნული საკითხებით დაინტერესდნენ სათანადო უწყებები და კომპეტენციის შესაბამისად გადადგან შემხვედრი ნაბიჯები. „როგორც სახალხო დამცველი, მზადყოფნას გამოვთქვამ ჩვერთო უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის გაუმჯობესების პროცესში, რათა გამოირიცხოს არასამართლიანი თუ

უთანასწორო მიდგომა სტუდენტებს შორის და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის საზიანო ვითარების არსებობა.“¹

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციებიდან იკვეთება არათანაბარი მოპყრობა უმაღლესი განათლების დაწესებულებების სტუდენტური თვითმმართველობის წევრებსა და დანარჩენ სტუდენტებს შორის.

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორო, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები. სტუდენტური თვითმმართველობა, თავისი დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში; ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას; ირჩევს წარმომადგენლებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში; უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

კანონიდან გამომდინარე, სტუდენტთა კონკრეტულ ჯგუფს, რომლებიც თვითმმართველობის წევრები არიან, შეუძლიათ ისარგებლონ კანონით მინიჭებული რიგი უფლებებით, მათ შორის, გახდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს (შემდგომში „საფაკულტეტო საბჭო“) წევრები და მონაწილეობა მიიღონ აკადემიური საბჭოს ფორმირებაში. თავის მხრივ, აღნიშნული ორგანოები ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მასშტაბით, რეალურ მმართველობით და წარმომადგენლობით ფუნქციას ახორციელებს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის **წარმომადგენლობითი ორგანოა** ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის აკადემიური თანამდებობის მქონე ყველა პირი, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, ან აკადემიური პერსონალის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებისა და სტუდენტთა თვითმმართველობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით არჩეული წარმომადგენლები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება

¹ <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-tbilis-saxelmwifo-universitetshi-gushin-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit.page>

ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი განსაზღვრავს საფაკულტეტო საბჭოს უფლებამოსილებას, ამავე კანონის 27-ე მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე, აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ კონკრეტული სტუდენტთა გაერთიანების, თვითმმართველობის წევრები. კანონიდან გამომდინარე, საფაკულტეტო საბჭო ახორციელებს ძირეულ წარმომადგენლობით ფუნქციებს, მათ შორის, განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ბიუჯეტის პროექტს; სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანს; დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს; დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს; ირჩევს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი ადგენს, რომ **აკადემიური საბჭო** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს** და მის ერთ-ერთ მმართველ ერთეულს წარმოადგენს;² მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და საფაკულტეტო საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ.³ ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, აკადემიური საბჭო ახორციელებს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს, მათ შორის, შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს; თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს; წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას; წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას; მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში; სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების წარდგინებით; ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს; აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი

² „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, „ე“ ქვეპუნქტი; მუხლი 15

³ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20

საქმიანობის განხორციელების საფუძველით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.⁴

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება **საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი**

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1

პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.* განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.⁵

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ კონკრეტულ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას.⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.⁷

განსახილველ შემთხვევაში, არსებითად თანასწორ სუბიექტს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სტუდენტი. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის ზემოთ განხილული ნორმების თანახმად, საფაკულტეტო საბჭოს წევრი სტუდენტები არიან მხოლოდ სტუდენტური თვითმართველობის წევრები, შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში და მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებაში ჩართულები არიან მხოლოდ თვითმართველობის წევრები და არა სხვა სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული სხვა გაერთიანების წევრები არიან ან საერთოდ არ წარმოადგენენ რომელიმე გაერთიანებას. აღნიშნული გულისხმობს, რომ კანონი მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოპყრობას ითვალისწინებს არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტების მიმართ მათი გაერთიანებისადმი კუთვნილების ნიშნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობის გარანტიას. აღნიშნული უფლება, მათ შორის, გულისხმობს პროფესიული კავშირების შექმნისა და საკუთარი ინტერესების დასაცავად მასში გაერთიანების უფლებას. კონვენციის მე-11 მუხლი ასევე მოიცავს გაერთიანების თავისუფლების ნეგატიურ ასპექტს,

⁵ ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, §§ 87-88; *Burden v. United Kingdom*, nos: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II.19

რაც გულისხმობს პირის უფლებას, არ იყოს რომელიმე გაერთიანების წევრი.⁸ სასამართლოს განმარტებით, გაერთიანების უფლების ნეგატიური ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული პერსონალური ავტონომიის პრინციპთან, რადგან პირის იძულება, შეუერთდეს რომელიმე გაერთიანებას, ზღუდავს მისი არჩევანის თავისუფლებას.⁹ ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს კერძო პირების ურთიერთობაში და მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ უზრუნველყოფილი იყოს გაერთიანების თავისუფლების ნეგატიური ასპექტი.¹⁰

კანონში არსებული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის გაერთიანების უფლების ნეგატიურ ასპექტთან, რამდენადაც, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა, რომ სტუდენტი გაერთიანდეს თვითმმართველობაში, რაც წარმოადგენს იძულების ირიბ მექანიზმს და ამ გზით ზღუდავს სტუდენტის გაერთიანების უფლების ნეგატიურ ასპექტს. გაერთიანების თავისუფლების ნეგატიური ასპექტის დარღვევა შედეგად, სტუდენტები, რომლებიც არ ერთიანდებიან თვითმმართველობაში, არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან თვითმმართველობის წევრ სტუდენტებთან შედარებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.¹¹ ამას გარდა, აუცილებელია, რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაციით შესაძლებელი იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა.¹²

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის პრობლემურობას საქართველოს მთავრობაც იზიარებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, უმაღლესი განათლების არსებული საკანონმდებლო რეგულირების ცვლილება აუცილებელია.¹³ ასევე, მისასალმებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მზაობა სტუდენტების მოთხოვნის საპასუხოდ დაიწყოს მუშაობა თვითმმართველობისა და ზოგადად, უმაღლესი განათლების სისტემის

⁸ ECtHR, *Sigurður A. Sigurjónsson v. Iceland*, no. 16130/90, 30/06/1993, § 35

⁹ ECtHR, *Ørensen and Rasmussen v. Denmark*, [GC] nos: 52562/99, 52620/99, 11/01/2006, § 54

¹⁰ ECtHR, *Gustafsson v. Sweden*, [GC] no. 15573/89, 25/04/1996, § 45; *Ørensen and Rasmussen v. Denmark*, [GC] nos: 52562/99, 52620/99, 11/01/2006, § 57

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის #3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 15

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის #1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23

¹³ http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=434&info_id=55127

რეფორმაზე. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების გადასაჭრელად დროულად გატარდეს ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები.¹⁴

სახალხო დამცველი ითვალისწინებს, რომ სტუდენტები, რომლებიც არ არიან თვითმმართველობის წევრები, სრულებით არ არიან მოკლებულნი შესაძლებლობას, გახდნენ საფაკულტეტო საბჭოს წევრები და მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში, თუმცა, კანონის ანალიზიდან გამომდინარე, არ იკვეთება ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის პროცესში მხოლოდ კონკრეტული გაერთიანების წევრი სტუდენტების ჩართულობას. ბუნდოვანია ნორმის მიზანი, რომელიც სტუდენტს, რიგი ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობისთვის, აიძულებს გაწევრიანდეს გაერთიანებაში, რომლის წევრობაც, შესაძლოა, მის თავისუფალ არჩევანს არ წარმოადგენდეს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სტუდენტის უფლება, არჩეულ იქნას ფაკულტეტის წარმომადგენლობით ორგანოში და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვის პროცესში, გაუმართლებლად არის დაკავშირებული მის გაერთიანებისადმი წევრობასთან, რამდენადაც, აღნიშნული წარმოადგენს ბარიერს სტუდენტისთვის მისი უფლებებით სარგებლობისას და არანაირი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია. მსგავსი მიდგომა კი გონივრული გამართლების გარეშე არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს იმ სტუდენტებს, რომლებიც არ არიან თვითმმართველობის წევრები, რაც წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას გაერთიანების წევრობის ნიშნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას, შეიმუშავოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი კანონის თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში მონაწილეობის უფლება მათი გაერთიანებისადმი კუთვნილების მიუხედავად.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

უჩა ნანუაშვილი



¹⁴ <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-15-marts-tsushi-ganvitarebul-procesebze-dakvirvebis-shedegebs-adjamebs.page>

სახალხო დამცველი

.